მეექვსე კლასი - ფინალური ტესტის მიმოხილვა

მშობლიური, ქართული ენის ფინალის ტესტი **100 ქულიანია.** ტესტში ჯამურად დაგხვდებათ **30 საკითხი (შეკითხვა). ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან:**

🔷 წაკითხული ტექსტის გააზრება (40 ქულა)
🔷 გრამატიკული და ლექსიკური დავალებები (60 ქულა)

ტესტის **ყველა შეკითხვა არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპისაა**. თითოეულ შეკითხვას აქვს სამი სავარაუდო პასუხი: ა, ბ ან გ, რომელთაგანაც მოსწავლეს ერთი სწორი პასუხის შერჩევა ევალება.

ნაწილი #1 - წაკითხული ტექსტის გააზრება

ტესტის ამ ნაწილში 10 შეკითხვაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 4 ქულით. შესაბამისად, ამ ნაწილის ჯამური ქულაა 40.

აღნიშნული სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს **მცირე ზომის, კლასის შესაბამისი** ტექსტის წაკითხვა და გააზრება. **შეკითხვები შეეხება:**

- პერსონაჟების თვისებებს,
- ტექსტში მოცემულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას,
- ტექსტის მთავარი სათქმელის/იდეის გააზრებას;

მოსწავლეს უნდა შეეძლოს ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, როგორებიცაა: რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა? რატომ დაისაჯა მთავარი გმირი? რატომ მიიღო პერსონაჟმა ეს გადაწყვეტილება?

ნაწილი #2 - გრამატიკული და ლექსიკური დავალებები

ტესტის მეორე ნაწილი შეეხება გრამატიკულ და ლექსიკურ საკითხებს. ტესტის ამ ნაწილში 20 დავალებაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 3 ქულით, შესაბამისად ამ ნაწილის ჯამური ქულაა 60.

მოსწავლემ უნდა გამოავლინოს ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით. ესენი გახლავთ:

- ნაცვალსახელები ზედსართავი სახელები,
- ზმნიზედა,
- თანდებული,
- კომპოზიტები,
- რიცხვითი სახელი,
- ზმნა და ზმნის დრო,
- არსებითი სახელი და მასთან დაკავშრებული მართლწერის წესები,
- მხატვრული ხერხები

ასევე მოსწავლე უნდა იაზრებდეს კლასის შესაბამის ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს, ჰქონდეს მათ შესახებ ზოგადი ცოდნა.

სავარჯიშოების მაგალითები:

რომელი მეტყველების ნაწილია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:
,,ვიშ, ამ დილასა!“
ა) თანდებული
ბ) შორისდებული
გ) ზმნისწინი

დიალოგი არის :
ა) ერთი პირის საუბარი.
ბ) ორ პირს შორის საუბარი.
გ) ავტორისა და პერსონაჟების საუბარი.

დაასრულეთ ანდაზა:
ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაეწევა **……..**... “
ა) მდევარი
ბ) მწევარი
გ) ბელადი

შეგახსენებთ, ფინალური ტური 4 მაისს ჩატარდება. ფინალთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის ნახვა ამ ბმულზეა შესაძლებელი: https://www.kings.ge/news/1321

კინგსის გუნდი გისურვებთ წარმატებულ ასპარეზობას!